



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

25 მარტი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 79

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-ს (საიდენ.კოდი437058014) დირექტორის განთავისუფლების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 35-ე მუხლის, „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე და 38-ე მუხლების და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-სა (ს/კ. 437058014) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს (ს/კ. 437058498) მიმართ რეორგანიზაციის პროცესის დასრულების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 11 მარტის №22 განკარგულების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-ს (ს.კ. 437058014) დირექტორი ვლადიმერ სალუქვაძე (პირ:№33001006851) მიმდინარე წლის 25 მარტიდან განთავისუფლდეს დირექტორის თანამდებობიდან, უფლებამონაცვლე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის სერვისცენტრი“-ს დაფუძნების საფუძველზე.

2. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსს ლაშა თავაძეს (პირ.№33001005191).

3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი